მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა


| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | 50 | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | — | 1 | — |


შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მადლობა... 2) ფელეტონი: პარლამენტარიზმი და პირდაპირი მოქმედება. 3) ახალი ამბები. 4) საზიზღარი მოვლენები. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) კორრესპონდენცია. 7) დეპეშა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117

№ 19 ოთხშაბათი 28 ივნისი 1906 წ. თბილისი № 19

ვთხოულობთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაწოდონ მისი ხელდრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთების გზავნა.

---

## მადლობა......!

მადლობა, მადლობა......,
რას მკითხველო თუ მიხვდები?
რას და ჭეშმარიტებას.

როგორც იქმნა მოვესწარით ერთხელ მაინც ჩვენ და სოც.-დემოკრატიას შორის ურთიერთობის თავობაზე გამოთქმულ ჭეშმარიტებას.

როგორც იქმნა მოვესწარით, მაგრამ ეს ჭეშმარიტებაც არ იქმნა და არა დაბადებულიყო სრულიად საღი, ცოტა კუზი ამასაც დაჰყვა.

„შრომის„ № 65, მეთაურში გამოთქმულია ის შეხედულება, რომელზედაც სდგას შრომა და რომელიც შეეხება „მუშის“ და „ლამპრის“ დამოკიდებულებას. მეთაური საზოგადოთ ჭეშმარიტებას ამბობს, მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ არის სრული თავის ნაწილებში.

„შრომა“ ამბობს:

„სალიტერატურო ბრძოლობა ქართულ პრესსაში ძალიან ხშირად ილახება—ეს სასიამოვნო ფაქტი არ არის, მაგრამ, მაინც ფაქტია. სალიტერატურო ზრდილობა საშინლად შეილახა ანარქისტების და სოციალ-დემოკრატების კამათისაგან—ესეც უტყუარი ფაქტია. რა თქმა უნდა, სალიტერატურო უზრდელობა არავის არ მოსწონს, (?) ჩვენ გვგონია, ეს უზრდელობა არ მოსწონთ იმათაც კი, ვინც თავის უშვერის ლანძღვაგინებით მართლა რომ შეურაცხ-ჰყოფს მკითხველებს (?). მაგრამ ნურავინ ინუგეშებს თავს, იმით, რომ საჯაროდ პროტესტს განაცხადებ უზრდელობის წინააღმდეგ და ამით თვით უზრდელობას მოესპობო“

ცოტა ქვევით იგივე ჭეშმარიტების გაუბედავი მოყვარული „შრომა“ ამბობს:

„ცხადია, სოც.-დემოკრ. თითონვე მისცეს საბუთი ანარქისტებს დინჯის კრიტიკის გზას ასცდენოდნენ და ლანძღვა-თრევის პოლემიკა წამოეყენებინათ წინ. რა თქმა უნდა ეს გარემოება ანარქისტებს არ ამართლებს, იმათ თავი არ უნდა დაემცირებინათ და სოც.-დემოკრატებისაგან ნასროლ ანკესზე არ უნდა აგებულიყვნენ“...

ჩვენ ქართულ პრესსაში ერთი შაბლონური აზრია გამეფებული: თუ ვინმემ სისაძაგლე ჩაიდინა და სხვამ ეს საზოგადოებას ამხილა პრესსის საშუალებით, ე. ი. სისაძაგლეს თავისი ნამდვილი სახელი დაარქვა, მაშინ ატყდება..... რა გგონიათ რა უნდა ატყდეს?

არა ისეთი აზრთა და საბუთებთა გაცვლა გამოცვლა, რომლითაც ეს სისაძაგლე უნდა იქმნას დამტკიცებული, არამედ ატყდება აურზაური იმის გამო, რომ სისაძაგლეს თავისი სახელი უწოდესო. ერთი მიბრძანეთ, რომელია უფრო ძნელი, ამაჯანყებელი თვით საძაგელი საზოგადოებრივი ფაქტი, თუ ამ გვარი ფაქტის მხილება? პასუხი ნათელია ისე როგორც დღე თუ საზოგადოებრივი ფაქტი საზიზღარია, მისი მხილება აუცილებელია, მაგრამ, რადგან საზიზღარ შინაარსს საზიზღარი ფორმა საზიზღარ მოქმედებას საზიზღრების გამომხატველი სიტყვა შეეფერება, ამიტომ ჩვენ არ შეუშინდით სოც.-დემოკრატიულ და აგრეთვე გამეფებულ შაბლონს ლიტერატურაში და შიშველი, ჭეშმარიტება გამოვთქვით, la verité n'a pas besoin d'ornement.

ლაპარაკობენ, სწერენ ლიტერატურულ ზრდილობაზე; ყველაფერზე წერა ყველას სრული თავისუფლებაა, თუნდაც თავისუფალ მონაზე და ტრეპოვის ან სოც. დემოკრატების სოციალიზმზე იყოს დაწერილი, მაგრამ ერთი ჰკითხეთ ან თქვენ თავს, ან ნაცნობებს: რა ცხოველია ლიტერატურული ზრდილობა?

პასუხი აქაც მზესავით ნათელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რასაც ლიტერატურა ემსახურება. ლიტერატურა ემსახურება ბუნებრივ მოვლენების ურთიერთობათა ნამდვილ დახასიათებას, საგნების განსაზღვრას დროში და სივრცეში. მაშასადამე ლიტერატურა ემსახურება ჭეშმარიტებას, (მიაღწევს ამას თუ არა ეს სხვა კითხვაა). რა არის ჭეშმარიტება? რა და საგანთა ურთიერთობა. საგნები იცვლება და მათთან ერთად მათი ურთიერთობაც-ჭეშმარიტება; ის ურთიერთობა, რომელიც განსაზღვრულ დროში ყველასაგან ცნობილი უმსგავსოთ, უმსგავსოა, ეს ხომ ტავთოლოგიაა. ჯაშუშობა, და პროვოკატორობა გმობილია სოც.-დემოკრატიის, თქვენ და ჩვენს მიერ, დავეთხოვოთ სხვებს. მაშასადამე ამავე დროს პროვოკატორობას არ უნდა ეწევოდეს არც სოც.-დემოკრ. პარტიის და არც ჩვენი მიმართულების წევრი. თუ ვინმემ ჩვენგანმა ჩაიდინა ეს საზიზღარი საქციელი, ჩვენვე უნდა დავგმოთ ის პირი და არ დავიცვათ, თუ ვინმემ სხვამ მოგვასწრო ამ გვარი პირის გმობა, ჩვენ უნდა ვიცნათ ეს გმობა და არ ავსტეხოთ აურზაური მართლის მამხილებლის წინააღმდეგ. თუ პარტიამ თავისი ორგანოით, ან თავის იდეოლოგი საშუალებით ჩაიდინა ეს საქციელი, მაშინ პარტიას არ შეუძლია ეს სიტყვა, მაგალითებრ „პროვოკატორი“ იხმაროს ძველი აზრით.

ამის შემდეგ გვიბრძანეთ ერთი რომელმა ანარქისტმა ჩაიდინა ან ჯაშუშობა, ან პროვოკატორობა? თუ არა, რათ გვიძახიან პროვოკატორებს სოც.-დემოკრატები? ჩაიდინა თუ არა პროვოკატორობა სოც.-დემოკრატიამ ჩვენში და საზღვარ გარედ ანარქისტების წინაშე,

დღეს მაგალითებრ სოც.-დემოკრატია ცხადად ფაქტიურად პროვოცირობს ანარქისტების შესახებ, ფაქტები ძლიერ ბევრი გვაქვს და უტყუარიც. ს.-დემოკრატებს დღეს ცხადათ სურთ მიგვაღებინოს მათ წინააღმდეგ ისეთი ზომები, რომელიც გამოიწვევს ანარქისტების წინააღმდეგ „განსაკუთრებულ კანონებს*).

---

*) სიტყვა პროვოკატორი ფრანგულია. წამოსდგება სიტყვა provoquer-დგან და ნიშნავს გამოწვევას.

სოც.-დემოკრატიამ მრავალი პროვოკატორობა ჩაიდინა ანარქისტული მოძრაობის წინაშე. პროვოკაციას ეწოდა საზღვარ გარედ წინააღმდეგ ანარქისტებისა რომლებსაც დევნიდა პოლიციასთან ერთად. პროვოკატორობა გასწია ჩერქეზიშვილის რეფერატზე, პროვოკატორობა გასწია «ლამპრის» № 28-ში, ლიტერატურულ პროვოკაციას ეწევა მას შემდეგ განუწყვეტლივ; პროვოკატორობას ეწევა ფიზიკურად გაზ. „მუშის“ წინააღმდეგ, პროვოკატორობას ეწევა ფიზიკურად ჩვენ პოლიტიკურ, და ეკონომიურ ორგანიზაციის წინააღმდეგ.

„შრომა“ ამბობს, რომ სალიტერატურო ზრდილობა შელახა ანარქ. და სოც.-დემოკრ. კამათმაო. თუ მხედველობაში მიიღებს „შრომა“ იმას, რაც ზევით ვსთქვით ცხადია, რომ ზრდილობა შელახეს სოც.-დემოკრატებმა თავისი ლიტერატურული უზრდელი ფაქტით, ჩვენ ჩვენი მხრით ვამხილეთ ეს შემდეგ და დავასაბუთეთ კიდეც. თუ ლამპრისტები ჭეშმარიტების მოყვარული ბრძანდებიან ან ბრძანდებოდნენ უნდა მოეთხოვათ საბუთი იმის, რასაც ჩვენ ვაბრალებდით კიდევ და არ მოქცეულიყვნენ რუსულად: როდესაც ჩვენ ვუთხარით, „ты дуракъ“, იმან გვიპასუხა: „ты самъ дуракъ“-ო. მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ჩვენი მიმართვა საბუთიანი იყო, დასაბუთებული იყო და როცა პასუხი ვერ მოახერხა მაშინ იფიქრა, იფიქრა და გამოიფიქრა: რადგან მე ფაქტიურად სისაძაგლე ჩავიდინე, გავილანძღე და ამისათვის გავილანძღე სიტყვიერადაც, რაღა დამრჩენია მეტი სიტყვით, უსამართლოდ მაინც გავლანძღავ ჩემ მოპირადპირესო.

მეთაური ისეთ აზრს მოგვაწერს, რომელიც ფიქრადაც არ მოგვსვლია. მეთაურის აზრით ჩვენ პრინციპიალურად სალიტერატურო უზდელობის წინააღმდეგი ვართ. უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ სოც.-დემოკრატები გახლავართ და არც სხვა სალტო-მალტოლისტები. ჩვენთვის პრინციპი და პრაქტიკა ერთი მეორეს დაშორებული და წინააღმდეგი არ არიან. ჩვენ უზრდელობა არ ჩაგვიდენია ცნიერად არც თეორიაში ð არც პრაქტიკაში; ჩვენიაზრი ლიტერატურულ უზრდელობას ხედავს სხვისი უზრდელობის დაფარვაში და ქარაგმული, ორჭოფი სიტყვებით გამოთქმაში. უზრდელობაა ლიტერატურაში ჭეშმარიტების, ფაქტის დაფარვა. ნუ თუ შესაძლებელია საზიზღარ ფაქტზე ზრდილობიანად ლაპარაკი?! აი, ამ გვარ ზრდილობას ჰქვია უზრდელობა.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ დინჯი კრიტიკის გზას ავცდით და ლანძღვა-გინების პოლემიკა წამოვაყენეთ წინ უნდა მოვახსენოთ „შრომას“, რომ ესეც უცნაური

აზრია, რადგან უნდა უკიცინებდეთ. სხვას ისეთ რამ ნაკლს, რომელიც ნაკლია და რომელიც თქვენ არ მოგეპოვებათ. ეს რომ ნაკლი არ არის იმ პირობებში, რომელშიდაც, როგორც ზევით ვთქვით, მოეწყო ამ გვარი პოლემიკა, იქნებ თქვენც დაგვეთანხმოთ, მაგრამ რაც შეეხება თქვენ ამ გვარ საქციელს გაგიკვირდებათ. გაუკვირდება მრავალ სხვა პირებსაც, მაგრამ ეს კიდევ შაბლონის ბრალია.

გაიხსენეთ თქვენი პოლემიკა „კამპანია" მთავრობის წინააღმდეგ, გაიხსენეთ თქვენი მართლა სამართლიანი უტყუარი საბუთები საქართველოს აწიოკების შესახებ. როგორ იხსენიებდით მთავრობის საზიზღარ რეაქციას?

საზიზღროებით. საზიზღარიც იყო. ეხლა გაიხსენეთ სოც.-დემოკრატიული რეაქცია, როგორი იყო და როგორია დღეს ჩვენ შესახებ? ის იყო საზიზღარი, ჩვენ ეს ვამხილეთ, ამიტომ ის გადაიქცა ყოვლად უგვანად დღეს და ჩვენ იძულებული ვიქნებით ისეთი ზომები მივიღოთ, რომელიც შეფერის პოლიციას (ის რასაც სჩადიან დღეს სოც.-დემოკრ. „მუშის" წინააღმდეგ დღევანდელ პოლიციელობაზე დაბლა სდგას) თავისუფლებისთვის მებრძოლთაგან, ის ზომები, რომლებიც ანარქისტებმა მიიღო ბელოსტოკის და ვარშავის პოლიციის წინააღმდეგ.

საკვირველია რადგანაც „შრომა" ზრდილობის და უზრდელობის შუა მომწყვდეულა. ერთი მხრით ამბობს, რომ ჩვენ სოც.-დემოკრატებმა მოგვცეს საბუთი და მეორე მხრით კი ამბობს, რომ ჩვენ ეს გარემოება არ გვამართლებს.

უშველებელია ბატონო მეთაურო უშველებელი! იქნება თქვენში ადამიანს უსაბუთობა ამართლებდეს ან ადამიანს უსაბუთოთ ამართლებდენ, ჩვენში კი საბუთი ამართლებს ადამიანს.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ნუ იტყვით, საბუთიანობა თურმე ამცირებს კიდეც კაცს. რომ ნამდვილი ცოდნით არ ვიცოდეთ, რომ თქვენ სოციალისტი ფედერალისტები ხართ, ამგვარი მსჯელობის შემდეგ სოც.-დემოკრატი გვეგონებოდით, მაგრამ ყველ ფერი შესაძლებელია ქვეყანაზე: erare hummanum estან იქნება larsus calami იყოს ამგვარი მსჯელობა. მაგრამ ვაი, თუ არც erareა და არც lapsus, მაშინ ნამდვილი არცაქეთარციქოთობა იქნება, съ одной стороны нельзя не признаться, съ другой нельзя не сознаться.

Уф, господа!

Какъ видно съ сознаніемъ признаніе тяжелѣе шапки Мономаха!

რაც შეეხება ანკესებზე წამოგებას, ვიტყვით, რომ სოც.-დემოკრატია არც ისეთი მეთევზეა, როგორც საქართველოს „სელიოდკებს" ჰგონია და ჩვენ არ ვართ ისეთი თევზები, რომლებსაც ანსკესით ან ბადით იჭერენ.

ალ.

## ახალი ამბავი

როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ იქაც დაუწყვიათ ს. დ. პროტესტებზედ ხელის მოწერის გამართვა, მაგრამ ლილა გასცვეთიათ და არავის ხელი არ მოუწერია, მუშის წინააღმდეგ პროტესტზედ.

— 26 ივნისს. შუალამის გასტეხეს ზინგერის მაღაზია. წაიღეს ფულად 150 მანეთი და სხვა და სხვა ნივთები.

— 26 ივნის ქალაქის საბჭოში ხმოსანთა მორიგი კრება იყო.

კრებაზე უფრო საყურადღებო იყო მოხსენება ხმოს. არ. ს. ბაბოვის, შესახებ გენერალ-გუბერნატორის, საერთოთ, ქცევისა და ამ უკანასკნელი გაფიცვების გამო, განკარგულებისა, ბ. ბაბოვმა გაახსენა ქალაქის წარმომადგენლებს 22 ივნისი, როცა ქუჩებში ზარბაზნებს და პულემიოტებს დაათარეშებდენ ვითომდა, იმიტომ რომ არეულობა არ მომხდარიყოს; მაგრამ შესაძლებელი იყო ბაბოვის აზრით რომ ვისმეს პროვოკატორული ან სხვა მიზნით ესროლა რევოლვერი თუნდა სხვა რამე და ალესილი ჯარები აიკლებდენ ყველას, თუნდა ის ქალაქის საბჭოც ყოფილიყვეს. ამით ბაბოვი ამტკიცებდა, რომ გენერალ-
გუბერნატორი თავისი ქ...
თუმშვიდობიანობას ამყარ...
ისეთს პირობებსა ჰქმნის, ...
სულ ადვილი შესაძლებელ...
ულობაც და უბედურ...
გარდა ბ. ბაბოვმა მიაქ...
რესა ყურადღება გენერ...
ნატორის განკარგულებაზ...
დაჯარიმების შესახებ. ბაბ...
რით ასეთი საქციელი ე. ი. ...
მანეთით დაჯარიმება ქალაქ...
მელსაც დღეს კრიზისი უდ...
ერთიანათ შეარყევს იმის ...
დღეობას. გარდა ემისა უ...
უსამართლეობა იქნება ერთ...
რიმება, და დიდს აურ...
გამოიწვევს ქალაქში. ბაბოვი ...
დებას იძლევა ასეთი არა ს...
შედეგების მოსასპობათ. ...
განასაჩივროს ბ. გენერა...
ტორის მოქმედება ნა...
თან, რომელთანაც უნდა გ...
ქალაქის გამგეობა. ეს ...
დადება რამოდენიმე განმ...
შემდეგ ერთხმათ მიიღო საბ...
დაადგინა 27 წარუდგეს გ...
ნამესტნიკს, რომ მოასწროს ...
დაჯარიმების დღეს, რომელ...
ნიშნულია 28 ივნისსათვის.

— როგორც ს. უჯარმიდან ...
ყობინებენ ამ თვის 20 ...
აქ თავს დასხმიან დალაქს ...
ანდ. ქურთიშვილს 16 კაცი, ...
თაგან რამოდენიმე შეიარა...
ყოფილან. მოუთხოვიათ ს. დ. ...
ტიის სახელით ფული. ქურთი...
აღმოჩენია მხოლოთ 64 მან. ...

# ფელეტონი

## პარლამენტარიზმი და პირდაპირი მოქმედება *).

### III

პოლიტიკური ცრუ-მორწმუნეობა, რომელიც განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიამ გაავრცელა ჩვენში, იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი დარწმუნებულია, რომ დემოკრატიასთან ერთად მისი სრული პოლიტიკური თავისუფლების დროც დადგება. ჩვენი აზრით კი ეს ასე არ არის. შეიძლება დემოკრატია დამყარდეს და მუშები დარჩნენ ისევ ისე უუფლებლო კლასად. თვით ფაქტი დემოკრატიის დამყარებისა კიდევ არ ამტკიცებს მუშათა უფლებების დამყარებას. ავიღოთ მაგალითები. ყველა პოლიტიკურ უფლებათა შორის უფრო მეტ მნიშვნელობისა მქონე მუშათა კლასისათვის არის უფლება კოალიციისა და ორგანიზაციისა. საფრანგეთში, მაგალითად, ეს უფლება აქვს მუშათა კლასს. როგორ მოიხვეჭა მან იგი? იშვა ეს უფლება დემოკრატიასთან ერთათ? კონსტიტუციამ მოუტანა ეს უფლება მუშათა კლასს? თუ მუშათა კლასმა მოიხვეჭა ეს უფლება კონსტიტუციისა და დემოკრატიის წინააღმდეგაც ბრძოლით? აი პასუხი:

როცა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ყველა თავისუფლება, ძმობა და ერთობაზე ლაღადებდა ყოველი მხრით და როცა მაშვრალმა ხალხმა, გატაცებულმა ამ საერთო ლაღადით, იფიქრა რომ ამ თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის დრო მისთვისაც მოვიდა. მან მოითხოვა თავისთვისაც უფლებები, მაგრამ ამ მაშვრალი ხალხის სისხლით გამა-რჯვებულმა დემოკრატიამ იმის მაგიერ, რომ მისთვის მართლა მიენიჭებია რაიმე უფლებები გამოსცა განკერძოებითი (исключительные) კანონები მუშათა კლასის წინააღმდეგ *). ეს კანონები, გამოცემული გამარჯვებული დემოკრატიის მიერ უკრძალავდნენ მუშათა კლასს კოალიციასა და გაფიცვებს. კოალიციის უფლება, რომელიც გამარჯვებულმა დემოკრატიამ წაართვა მუშათა კლასს, ამ უკანასკნელმა მოიპოვა მხოლოდ 1864 წ. დიდის, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. აგრეთვე უფლება გაფიცვისა მოპოვებულ იქმნა მუშათა ძიერ არა დემოკრატიული კანონ მდებლობით, არამედ ბრძოლით თვით ამ დემოკრატიის წინააღმდეგ. რაც შეეხება მუშების კორპორაციების ლეგალურ არსებას, ისიც აკრძალულ იქმნა იმავე დიდი რევოლიუციის დროს და იქიდგან დაწყებული 1884 წ. მუშათა კლასი ამ უფლებას მოკლებული იყო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთმა ყოველ გვარი მთავრობა გამოიარა. მესამე რესპუბლიკის დაარსებიდან გავიდა 13 წელიწადი და დემოკრატია, რომლის სათავეში მაშინ ისეთი კაცები იდგნენ, როგორც გამბეტა და ვალდეკ რუსსო იყო, კიდევ არ ფიქრობდა მიენიჭებია ეს ელემენტარული უფლება მუშათა კლასისათვის. თუ ბოლოს 1884 წ., როგორც იქნა, კორპორაციებმა მოიპოვეს უფლება ლეგალური არსებისა, ეს იმისთვის კი არ მომხდარა, რომ ასეთი იყო სურვილი დემოკრატიისა, არამედ იმისათვის, რომ სხვაფერ არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მუშათა კლასმა თავის პირდაპირი მოქმედებით ფაქტიურად განახორციელა ძალით, სარევოლიუციო მოქმედებით ეს უფლება და ბურჟუაზიაც და ბურჟუ-
აზიული დემოკრატიაც იძულ...
იყო დაეკანონებია მუშათ...
ძალით ცხოვრებაში განხორ...
ბული ფაქტი. აგრეთვე ხდ...
ინგლისში. მუშათა კლასი ...
ბლობდა და სარგებლობს მ...
იმ უფლებებით, რომელთა გან...
ციელებაც მან შესძლო თავ...
ლით, თავისი პირდაპირი მ...
ბით დემოკრატიაზე და მის კ...
ტუციაზეც. მერმედ როცა ...
წვალებისა და ბრძოლის შემ...
უფლებები განხორციელებულ...
და როცა რაკი სხვა გზა აღარ იყ...
მოკრატიამ სცნა დ დააკანონ...
ლებები, განა ის არ სც...
ესარგებლნა ამ უფლებით მ...
თავის კერძო ინტერესებისათვ...
სთელავდნენ ულმობელი ...
ამ უფლებებს ბურჟუაზია ...
დემოკრატიული დაწესებულ...
ყოველ დღე არ არღვევს ბ...
ზია, უფრო დემოკრატიულ ...
ნებშიაც კი, მუშათა უფლებ...
განიზაციის შესახებ? აიღეთ ...
საფრანგეთი. განა ხშირი ...
მაგალითი მუშათა ორგანიზა...
ძალით დახურვისა, როცა ეს ...
განიზაციები მართლა ხდებიან ...
ტიური მოწინააღმდეგენი კა...
ლისტთ ინტერესებისა? 18...
დიუპუის მინისტრობის დროს ძ...
იქნა დახურული პარიზის მ...

*) ეს კანონები ცნობილია ისტორიაში ლე-შაპელიეს კანონების სახელით და იქნენ მიღებულნი 1791 წ, ივნისის 11, 12, 14. ეს კანონები ქალაქის მუშათა წინააღმდეგ იყვნენ მიმართული. იმავე წლის 28 სექტემბერს და ოქტომბერს იმ გვარივე კანონები იქმნენ გამოცემულნი სოფლის მუშათა წინააღმდეგ.

*) იხილე გაზ. «მუშა», № 13.

დამსხმელები ჩასციებიან თუ 100 მანეთს არ მოგვცემ მოგკლავთო. ქურთიშვილს პატარა ბავშვის შემწეობით მეზობლისაგან მოუხერხებია 6 მან. ე. ი. 70 მანეთათ შეუსრულებია. და როგორც ყოფილა დაუთანხმებია ამაზე თავს-დამსხმელები. 23 ივნისამდის უკვე შეუპყრიათ 6 კაცი, რომელთაც აბრალებენ თავს-დასხმაზე მონაწილეობას.

— 26 ივნისს ალექსანდროვის ქუჩაზე იქ სადაც ეს ქუჩა გადაკრის კიროჩნი ქუჩას, ვიღაც უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს რკინის-გზის „ტიაგის“ ნაწილის უფროსი ვართენბერგი. მსროლელები მიიმალნენ. ნახევარი საათის შემდეგ, სადაც ეს ამბავი მოხდა მოსულან პატრულები, დაკეტეს მათ მახლობლად პატარა დუქანი და შეიპყრიათ 4 კაცი.

— 26 ივნის ცხრა საათის ნახევარზე ვოკზალის ქუჩაზე რევოლვერი ესროლეს ჟანდარმების უნტერ-ოფიცერს პეტრენკოს. პეტრენკო ახლათ გადმოყვანილი იყო ხაშურის სადგურიდან. მსროლელები ვერ შეიპყრეს. დაჭრილი პეტრენკო ლაზარეთში წაიყვანეს.

— როგორც გორიდგან გვატყობინებენ ადგილობრივ მცხოვრებლებს ნამესტნიკთან საჩივარი შეუტანიათ მაზრის უფროსს ლეონტიევზე; მცხოვრებლები ლეონტიევს უჩივიან, რომ ტყუილი უბრალოთ ხალხს აჯარიმებდა და კვიტანციასაც კი არ იძლეოდაო, ამისთვის სთხოვენ ნამესტნიკს გამოძიება დანიშნოს და გადახდილი ფულები უკანვე დაუბრუნონ პატრონებსაო.

## „საზიზღარი მოვლენები“.

ამ სათაურით გაზეთი უნდა გამოდიოდეს ჩვენში, არა თუ მხოლოდ განყოფილება დავუთმოთ რომელიმე გაზეთში სოციალ-დემოკრატებისაგან ჩადენილ საზიზღრობათა გამოქვეყნებას. შეიძლება, ზოგიერთმა მითხრას, ეს რა საკადრისია სოციალისტური პარტიისათვისაო, მაგრამ ჩემის აზრით, და ამაში ყველა დამეთანხმება, საზიზღრობა და უსინიდისობა ძველი მთავრობის კი არ უნდა აშკარავდებოდეს მხოლოდ, არამედ „სოციალისტებისაც“—ახალი მთავრობისაც. ამდენ ხანსაც უსინიდისონი იყვნენ ეს, უკაცრავად პასუხია, „სოციალისტები“ თავიანთ მოქმედებაში, მაგრამ აქამდე მთელი თავისი უსინიდისობის არსენალი არ იყო საჭირო გაეხსნათ, რადგანაც არც იმდენი საფრთხე მოელოდათ ფედერალისტებისაგან (თუმცა იმათაც ბევრი აყირავეს). ახლა კი, როცა ზედ-დაწოლის ძალამ (ანარქ—საგან) იმატა, იცოცხლე იმათმა სიგანით (ე. ი. სინიდისის დაკარგვით) იმატეს, სიმაღლით კი, რომ არაფერიც დასწოლოდათ, მაინც ლილიპუტები იყვენ, ერთი ორათ იკლეს. ახადეს უსინიდისობის არსენალს თავი, დაარიგეს ეს განძი თითოეულად თავის სათადარიგო ჯარში და უბრძანეს ეხმარათ ეს მშვენიერი იარაღი პირველ შემთხვევისთანავე. ბრძანება (მოგაგონებს ალხანოვისას) შემდეგია: 1) მუშას თუ „მუშა“ დაუნახო ხელში, წაართვი და შესაფერათ დასაჯე, რომ მეორეთ არ გაბედოს „პარტიის“ ასეთი წინაწახტომა და თავხედობა; 2) თუ დაინახოთ, ვინმე პარტიის წინაალმდეგ აგიტაციას ეწევა, არ დაინდოთ მოკალით, და ან (ალბათ, თუ მოკვლა ვერ შესძლეს გმირებმა) სასიკვდილოთ სცემეთ (მაინც). მეტის-მეტი სისასტიკის გამო ამ ბრძანებაში სრულებით გამორიცხულია ისეთი წვრილმანი საქმისათვის დასჯა, როგორც მე მომივიდა გუშინ (ვმუსაიფობდი მუშასთან მგონებ). მაგრამ ს. დემ.-იას სადა სცალია ასეთი წვრილმანებისათვის. მან სთქვა ცოტა სასტიკათ. მაგრამ მე ჯერ სიკვდილი არ მინდა (მეორე ვისგან). და ამიტომ ვსთხოვდი გამოსცეს რაიმე „სამართლიანი“ კანონი ჩემი დანაშაულობის შესაფერი..... ეხ!.. გული მტკივა, როცა გამახსენდება, რამდენი მსხვერპლი შეეწირა ყოველნაირ თავისუფლებას, როგორი სიხარულით ვეგებებოდით თავისუფლათ სულის ამოთქმას, ათასი და ათი-ათასი მუშის სისხლით მოპოვებულს, და აი რას ვხედავთ? თურმე მისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი, რომ „სოციალისტები“ ჟანდარმის როლში გამოვიდენ..... აბა რას მოასწავებს სოც. დემ.-საგან მსჯელობის აკრძალვა? ძველ მთავრობისაგანაა სამხ. წესები გამოცხადებული, მაგრამ ორ სამს შეგიძლია იმუსაიფო თავისუფლათ ქუჩაშიც კი; „სოციალისტურ“ ახალ-მთავრობას-კი ჯერ არაფერი წესიც არ გამოუცხადებია, მაგრამ ორსაც არა აქვს ნება ერთათ იმსჯელოს (როგორც მე დამემართა) დუქანში ვიღაც მუშასთან მუსაიფი ჩამოვაგდე (ალბათ ჩემი დანაშაულობა იმაშია, მე რომ დავიწყე პირველათ); ამ დროს დუქანში ორი „სოციალისტი“ შემობრძანდა და, რომ გაიგეს ეს ანარქისტულათ მსჯელობსო, ერთი „სოციალისტურათ“ შემომიკურთხეს და ჩემზე ჯავრის ამოყრა დააპირეს, რაც ჩემმა იქ მყოფმა ამხანაგებმა (სოც.-დემ.) გაიგეს და გამაფრთხილეს. მე გამოვასწარი, რომ „ტიგრანასავით“ არ დამმართოდა. სოც.-დემ. იტყვიან, რათ გამოგიყვანა კარში მარქს-ენგელსის ძალმა, თუ ამას გაზეთში გამოაცხადებდიო; მაგრამ იცოდეთ „სოციალისტებო“, ნუ დაიჭერთ ძველი მთავრობის ალაგს, თორემ იმდენი ძალაც არ შეგწევთ, რომ იმდენ ხანს მაინც დამალოთ თქვენი „პლუტობა“, როგორც იმან ქნა ეს! სიმართლე თავს იჩენ, ჩემგან არა, სხვისაგან... ასეა, „სოციალისტებო“ შეყარეთ, რაც შეიძლება მეტი მაწანწალა „პარტიაში“ რომ 1) სიბევრით იკვეხნოთ; 2) მუშები კარგათ დააბრმავოთ და, ბოლოს, 3)

ბირჟა. ძალით იქნა დახურული რამდენიმეჯერ საფრანგეთში სხვა ქალაქის მუშათა ბირჟები. თვით ამ წელს როცა 8 საათიან სამუშო დღის განსახორციელებლად დაწყებულმა აგიტაციამ მართლა სარევოლიუციო ხასიათი მიიღო, მუშათა ბირჟები გამოყრილ იქნენ თავიანთ ბინებიდგან, მაგალითად ლიონში, სადაც მერად სოციალისტი ოგანიერი იყო. რაც შეეხება პარიზს იქ ფედერატიული კომიტეტი ბირჟათა ფედერაციისა, კონფედერაცია მუშათა ორგანიზაციებისა და აგრეთვე რედაქცია ამ ორგანიზაციათა ოფიციალური ორგანოსი გამოყრილ იქნენ თავ თავიანთ ბინებიდან. რამდენიმეჯერ გადაჩხრიკეს ეს მუშათა ორგანიზაციების ბინები და კონფისკაცია უქნეს ლიტერატურას. შემდეგ როცა მოძრაობა დაიწყო საუკეთესო და უფრო ცნობილი აგიტატორები და პროპაგანდისტები დაიჭირეს და დაამწყვდიეს, ზოგი მათგანი დღემდის კიდევ ციხეში ზის. პირველ მაისს პარიზში იმასვე ვხედავდით რასაც ტფილისში 22 ივნისს. ყველა ეს რას ამტკიცებს? იმას რომ თუმცა ორგანიზაციის უფლება ჩაწერილია კანონებში, თუმცა ეს უფლება ძირითად კანონებზე არის დამყარებული, მაგრამ ის ფიქტიური, სიტყვიერი უფლებაა, თავის გემოზე მას მუშათა კლასი ვერაოდეს ვერ გამოიყენებს. იმ დაკანონებული უფლების დარღვევას ყოველთვის, როცა კი დასჭირდება, შეიძლებს ბურჟუაზია, რადგან ძალა მის ხელშია და სანამ ეს ძალა მის ხელში იქნება მუშათა კლასს არ შეეძლება სთქვას მე ესა და ეს უფლება მაქვსო. ის უფლება, რომელიც შეიძლება უსამართლოდ გათელილ იქნას ულმობელი ფეხებით უფლება არ არის. ის უფლება, რომელიც სხვის სურვილზე და კაპრიზზეა დამოკიდებული, უფლება არ არის. უფლება რამდენიც უნდა ჩასწეროთ კანონთა კრებაში ან ძირითად კანონებში არ არის ნამდვილი უფლება, სანამ ის სიტყვიერი და არა ფაქტიური უფლებაა. ფაქტიურ უფლებად მუშათა კლასის პოლიტიკური უფლებანი მხოლოდ მაშინ გარდაიქმნებიან, როცა ის ეკონომიურად მონა აღარ იქნება. ეკონომიურად მონისთვის ფაქტიურ პოლიტიკურ უფლებათა არსება ყოვლად შეუძლებელია. ორგანიზაციის უფლების მდგომარეობა: თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში ნათლად ამტკიცებს ამას. გადვიაროთ ეხლა სხვა უფლებებზე:

1) უფლება გაფიცვისა. გაფიცვა ბრძოლა გაყვლეფილ მწარმოებლისა და გამყვლეფელ მეპატრონისა შორის. ლოღიკურად რომ გაშინჯოს კაცმა ეს საკითხი, შეუძლებელია არ აღიაროს, რომ აქ თავისუფლებაზე ლაპარაკი უადგილოა. ბრძოლა თავისუფლება არ ეწყობა ერთმანეთს, სადაც ბრძოლაა იქ დამარცხებაც არის, სადაც დამარცხებაა იქ დაჩაგვრაც არის. ბურჟუაზიას არ შეუძლია მისცეს პროლეტარიატს ულება ბურჟუაზიის უფლებათა დამხობად. გაფიცვა კი იარაღია ბურჟუაზიასთან წარმოების ნიადაგზე ბრძოლისა. ბურჟუაზია თავის ნებით არ მისცემს პროლეტარიატს ხელში ბურჟუაზიისვე დასაკლავ დანას. ეს ცხადია (აშკარაა) მაგრამ რა კი ეს კანონი არსებობს „დემოკრატიულ“ ქვეყნებში ვნახოთ რა სიკეთე მოაქვს მას პროლეტარიატისათვის. ჯერ ერთი შენიშვნა: სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე პროლეტარიატნი ამ გაფიცვის უფლებას მოკლებულნი არიან. მოკლებულ არიან იტალიაში მაგალითად რკინის გზაზე მომუშავე მუშები, იქ ეგრედ წოდებულ მილიტარიზაციაა შემოღებული რკინის გზაზე და ამ მილიტარიზაციის მეოხებით, როგორც სალდათს არ აქვს უფლება გაფიცვისა, ისე მორკინიგზესაც არ აქვს ეს უფლება. საფრანგეთში სახელმწიფო საწყობებში, დოკებში, ფოსტა-ტელეგრაფზე და ტელეფონზე მომუშავეებს არც ლეგალურ ორგანიზაციის უფლება აქვთ არც გაფიცვისა. კერძო წარმოებაში კი არ არსებობს ეს გაფიცვის თავის-უფლება, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ლოღიკურად უადგილოა ბრძოლის თავისუფლებაზე ლაპარაკი. ის ვინც ბრძოლას იწყებს სცდილობს რაც შეიძლება მეტი ავნოს იმას, ვის წინააღმდეგაც იბრძვის, ის ვისაც ებრძვიან, რასაკვირველია, ეცდება რომ მას ბრძოლამ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოუტანოს. ეს ცხადია ისე აშკარაა, რომ ბევრი თავის მტრევა არ უნდა ამის დამტკიცებას. ყოველი ადამიანი თავის კერძო ცხოვრებაში ასობით ნახავს მაგალითს ამ წინადადების დასასაბუთებლად. პროლეტარიატი გაფიცვით ებრძვის ბურჟუაზიის წარმოების ნიადაგზე და სცდილობს რაც შეიძლება მეტი წააგლიჯოს მას, ე. ი. რაც შეიძლება მეტი ზიანი მოუტანოს, ბურჟუაზია სცდილობს რაც შეიძლება ნაკლები მისცეს და მეტი შეირჩინოს. ეს ნორმალურია. მაგრამ ნორმალური არაა ის, რომ ამ ბრძოლის მოწეს-რიგება თვით ბურჟუაზიის, ე. ი. ერთ და ერთ მებრძოლთაგანის ხელშია. გასაკვირველია განა, რომ ის ამ თავის უფლებას მოაწესრიგოს მის წინააღმდეგ მიმართული ძალა ისე ხმაროს, როგორც ეს მის ინტერესებს უფრო შეეგუება? სრუ-

მალე გაუფუჭონ სახელიც და სახრავიც ,,დიდებულ პარტიას‘‘ ე. ი. კისე-რი მოატეხიონ პარტიას, და არა მუშებს, როგორც ხსნიან თურმე ჩვენს ნათქვამს თქვენი ,,მაწანწა-ლები,,.

გიორგი ახვლედიანი.

—

P. S. თუ მომთხოვენ, ამ ფაქ-ტის დამტკიცება შემიძლიან. მაგ-რამ სხუმის ‘როდის მოუთხოვიათ— ახლა რაგადარევსთ, როცა თვითონვე ძალიან კარგათ იციან, რადგანაც მათგანვე გამოდის ასეთი ,,დარი-გებანი‘‘.

გ. ახვ.

# რუსეთის ქრონიკა

—

18 ივნისს მიღებული კერძო ცნობები, რომ კერჩში და მიდა-მოებში ამ ხანაში ხდება საშინელი მღელვარება უცხოეთის ელჩებმა პე-ტერბურგში 18 ივნისს შეეკითხენ კონსულებს საქმის ვითარების გამო (მისლ).

—

ოდესაში სალდათების მიტინგმა გაუგზავნა დუმაში ,,ნაკაზი‘‘ სახე-ლმწიფო სათათბირომ უნდა გაგზა-ვნოს ყველა ჯარის ნაწილებში თა-ვის კომისარები, რომელსაც ადგი-ლობრივ გამოიკვლევენ სალდათების მდგომარეობას.

სალდათებმა მამართეს „ნაკაზით“

მშრომელს ჯგუფს, რომელნიც აღუ-თქვამენ, მხარე დაუჭირონ, ყოველ დემოკრატიულ მოთხოვნილებას.

# კორრესპონდენცია.

—

**ქუთაისი.** ქუთაისში ბებუთის ქუ-ჩაზე თვრამეტ ივნისს მოხდა ერთი საზიზღარი ამბავი, საქმე ასე იყო: ბებუთის ქუჩაზე სცხოვრობს ერთი ვაჟბატონი კოსტა ლევანის-ძე სამსო-ნია, რომელმაც ჩაიდინა ისეთი ვაჟკა-ცობა, როგორიც მგონი ჯერედ მე-ფესაც არ ჩაუდენია, აი საქმე როგორ იყო, კოსტა სამსონიას შვილი წაყო-ლია გიორგაძის ბავშვს ქვიტირში სა-თამაშოთ; ბავშვი ცოტა ხანს შემდეგ დაბრუნებულა სახლში; კოსტა სამსო-ნიას დაუჭერია თავის შვილი და აგრე-თვე გიორგაძეც (თერთმეტი იქნებოდა რვა-რვა წლისა) გამოუყვანია შუა ქუჩაში დუქნებთან, წაუქცევია ორივე ერთად, თითონ შემდგარიყო ფეხებით ბავშვებ-ზე და სცემდა ჩექმებს ცხვირში და პირ-ში, ყურები თითქმის მოაგლიჯა ბავ-შვს, საწყალმა ბავშვებმა მორთეს ტი-რილი და ყვირილი, შეიძრა ქუჩა. ხალ-ხი ბევრი მოგროვდა ამ ყვირილზე, მაგრამ არავინ არ მიეშველა ამ საწყალ ტანჯულებს, ბავშვები იმ ზომამდე მი-ვიდნენ, რომ ხმაც დაეკარგათ საწყლებს, ბოლოს ბავშვებს მშველელად გა-მოჩნდა ერთი ახლობელი მეზობლის ქალი, რომელმაც ხელიდან გამოგლიჯა ამ გაგიჟებულ ადამიანს ბავშვები,

ამ კაცის შვილმა როცა თავისუფლება იშოვნა მაიმალა; გიორგაძე კი ქალმა თავის ხელით წამოიყვანა და შეიყვანა დუქანში, მაგრამ ბატონი სამსონია დუქანშიც მიხდევდა ბავშვს მოსაკლავად. საზ-ოგადოებამ დაუწყო ქალს გინება და ლა-ნძღვა, ბევრი უშვერი სიტყვებით. საოცარია გასაკვირია ასეთი საქცი-ელი ადამიანის, თვით ძაღლი არ მოინდომებს ასე შეუშას თავისს ლეკ-ვისას, როგორც ამ ვაჟბატონმა ჩაიდი-ნა, ამ ვაჟბატონს კიდევ არ გაუგია, რომ ის ადამიანია, რომელსაც არ შე-ფერის ასეთი მოქმედება. საჭიროა და სასურველია, რომ ამისთანა მაგალითე-ბი არ მოხდეს ადამიანთა შორის, ცე-მა და ტანჯვა ადამიანს ვერ გაასწორებს; ზიზღი და სირცხვილი იმ პირებს, რომლებიც გულმოდგინებით უყურებდ-ნენ ამ საზიზღარ ამბავს და ხმას კი არ იღებდნენ უსათუოთ იმისთვის რომ ისინიც დაჩვეულნი ყოფილან ასეთ სა-ზიზღრობაზე.

ფინდიხი.

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

**პეტერბურგი.** გუშინ რამდენიმე ადგილას მოხდა მანიფესტაციები, წითელი დროშებით და რევოლიუ-ციონური სიმღერებით.

**ბრესტ ლიტოვსკი.** გლეხების დამშვიდებაში მოკლეს 4 გლეხი.

**იარანსკი.** ცარევოსანჩურ... ბრბომ აიკლო სადგომები ... უფროსისა და ღურნოვის ... ნომია.

**ეკატერინოსლავი.** მოქ... უფროსი ფეოდოროვი დე... ლო დასჭრეს ორი ტყვიით. ... ლელი მიიმალა.

**ხარკოვი.** გაცარცვის სათვის მოჰკლეს მეწვრიმალე ... სოვი, მისი ცოლი, ქალი ... ჰრილია. მოიტაცეს 500 ... ბოროტი მოქმედნი მიიმალნენ.

**ტამბოვი.** ვიცე-გუბერნატო... ვიდა კოზლოვის მაზრაში, ... დაწყობილა აგრარული მოძ...

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასა...

# ახალი წიგნები

გამოვიდა ამ დღეებში და ... გაზ. „მუშის“ რედაქცია...

1) მუშათა კავშირები და მათ... მნიშვნელობა. სინდიკალიზ... ა. ორგეიანისა, გამოცემა „კო... მმუნისა‘‘ . . . . . ფასი ...
2) კომმუნიზმი და ანარქია. კროპოტკინისა, გამოცემა „ნ... ბათისა“ . . . . . ...
3) საერთო გაფიცვის მე... დდე, ა. ბურშესი, გამოცემა „ნობათისა‘‘ . . . . . ...
4) შეამბოხის სიტყვები გამო... ,,ინტერნაციონალისა‘‘. ...

ლიადაც არა. მაშასადამე, სრულიად არ არის გასაკვირველი, პირიქით ძალიან ადვილი მოსახდენია ისიც, რომ ბურჟუაზიამ ეს გაფიცვის უფ-ლება და თავისუფლება ფიქტიურ, მოჩვენებულ უფლებად და თავისუ-ფლებად გადააქცია და ეს იმისთ-ვის, რომ იგი როგორც პროლეტა-რიატი ისე არის დაინტერესებული ამ ბრძოლაში. ამას გარდა მის ხე-ლშია ძალა და უფლება ამ ბრძო-ლის მოწესრიგებისა. რომ გაფიცვის უფლება და თავისუფლება ფიქტიუ-რი არ იყოს, საჭიროა რომ პრო-ლეტარიატმა ჩაიგდოს ხელში ძალა და უფლება ბრძოლის მოწესრიგები-სა, მაგრამ როცა ის ამ ძალასა და უფლებას ჩაიგდებს ხელში მაშინ ის გაფიცვის, ე. ი. ბრძოლის მოწეს-რიგებას კი არ შეუდგება, არამედ სრულიად მოსპობს ეკონომიურ უთანასწორობას, მიზეზს კლასობ-რივი დიფფერენციაციისა და კლას-თა ბრძოლისა. მანამდი კი სულ მე-ტია გაფიცვის თავისუფლებაზე ლა-პარაკი. რაც დემოკრატიული იყოს სახელმწიფო ყოვლად შეუძლებელია მან ნება მისცეს პროლეტარიატს ბურჟუაზიის განადგურებისა, რაც დემოკრატიული იყოს სახელმწიფო, სანამ ის ბურჟუაზიული იქნება ყო-ვლად შეუძლებელია მან პროლე-ტარიატს კაპიტალიზმთან ბრძოლა-ში ხელი არ შეუშალოს. ავიღოთ შვეიცარია. ჩვენ მოწმე ვიყავით (სამი ამ გაზეთის თანამშრომელთა-განი) ჟენევის 1902 წ. საერთო გა-ფიცვისა. შვეიცარიაში ხომ მუდმი-ვი ჯარიც არ არსებობს—მისმაგიერ იქ მილიციაა. ცოტა ურტყა ამ დე-მოკრატიულმა არმიამ მუშებს? ჩვენ გვახსოვს ჟენევის ქუჩებზე თუ როგორ გაიგდო ჯარმა მანიფესტანტები წინ, როგორ ურტყა კონდახები ხალხს ზურგში. გვახსოვს ჩვენ რა თავგა-მოდებით იბრძოლა დემოკრატიუ-ლმა არმიამ მუშათა დროშის ხელ-ში ჩასაგდებად და მერმედ როცა დაფლეთილი დროშა ხელში ჩაიგ-დო რა სიამაყით გაატარა ეს ტრო-ფეია ბაზარში. გვახსოვს ჩვენ აგ-რეთვე ისიც რომ, როცა ჟანდარ-მებმა ჩვენი ამხანაგი ლ. ბერტონი, რომელიც ამ საერთო გაფიცვის სული და გული იყო, დაიჭირეს, იმდენი ურტყეს რომ წარსულ წელს კიდევ გრძნობდა ძვლების ტკივილს. გვახსოვს ისიც რომ ამ უბრალო გაფიცვისათვის, რომლის მეთაურობას მას აბრალებდენ ლ. ბერტონის 18 თვის ციხე გადაუწყვიტეს, ორ მის ამხანაგს ერთს 8 და მეორეს 4. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გაფიც-ვის დროს არაფერი ძალადობა არ უხმარიათ მუშებს. ამ გვარი მაგა-ლითები ძალიან ხშირია უდემოკ-რატიულეს შვეიცარიაში. რაც შეე-ხება იტალიას იმაზე ლაპარაკიც არ ღირს, ის კლასიკური ქვეყანა შეი-ქნა ამ ბოლო დროს გაფიცვების დროს მუშათა ხოცვა-ჟლეტისა. თუ ნაჩვენები მაგალითი საკმარისი არ არის, გავიხსენოთ ხოცვა-ჟლეტა მუშებისა ვალდეკ რუსსო-მილერა-ნის სამინისტროს დროს მარტინიკ-ში და შალონში. გავიხსენოთ აგ-რეთვე ის, რაც იყო ამ წელს, ე. ი. იმ დროს როცა სამინისტროს წევ-რებად არიან კლემანსო რადიკალ-სოციალისტი და ბრიანი-სოციალის-ტი. რამდენი შეტაკება, რამ-დენი ცემა ტყვეა, რამდენი სრო-ლა იყო. რამდენ ადგილას იქნა დამწყდეული საგაფიცვო კომიტეტი. გავიხსენებდით კიდევ სხვა მაგალი-თებს. მაგრამ ჩვენი აზრის აშკარად სამყოფად ესეც კმარა და სხვა მა-გალითებს, მათი სრული ჩამოთ-ვლა რომ მოვინდომოთ მთელი ტო-მის დაწერა გახდება საჭირო. სად არის აქ გაფიცვის უფლება? რა უფლება და თავისუფლებაა ის, რომელსაც იხმარ თუ არა, არ ციხე აგცდება, არც თოფის კონდახი და ხან და ხან ცხელი ტყვიაც გხვდება (შალონი, მარტინიკა, იტალიის გაფიცვები). ქაღალდზედ, ვიცით, არის დაწერილი: მუშებს უფლება აქვსო გაფიცვისაო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ არსად, არც ერთს ევროპის კუთხეში არც ერთი კონსტი-ტუცია გარანტიას არ აძლევს მუშათა კლასს ამ უფლების გამოყენებისა. თუ დემოკრატიამ მუშათა კლასს დაუწერა ქაღალდზედ: შენ ... გაქვს გაფიცვისაო, სამაგიერო ... მიაწერა: „შრომის თავისუ... დაურღვეველია. ეს კი აი რა ... ნავს: თუ მუშები უარს ... მუშაობაზე; მეპატრონეს ნება ... მათ ანგარიში გაუსწორონ ... მუშები იშოვნონ, გამოიწერონ ... და სხვა ქვეყნიდანაც. უადგილ... ულუკმაპუროთ დარჩენილ ... პროტესტის ნებაც არ აქვთ თუ ... დარღვევენ „შრომის თავისუ... ბას“, რომელი, ნამდვილი თუ ... დათ, ექსპლოატაციის თავისუ... არის, ვაი მათ, მთელი სახელმ... ებრივი მანქანა თავის ჟანდარ... ჯარისკაცებით, მსაჯულებით ჯალათებით მათ წინაამდეგი ... ამოძრავებული. ამგვარად, ... ბურჟუაზია, თუნდა დემოკრა... ლიც იყოს იგი, პროლეტა... რაიმე უფლებას წააწერს კან... კრებაში, მას ისეთ შენიშვნას ... კეთებს, რომელიც სრულიად ... წყლებს ამ უფლებას. გაფი... უფლება ბურჟუაზიულ კონსტ... ციებში გაქარწყლებულია „შრ... თავისუფლებით“, ე. ი. ექსპლ... ტაციის თავისუფლებით.

განვიხილოთ ეხლა სხვა უფლ... ბიც და გამოვიყვანოთ საერთო ... სკვნა, შემდეგ შევუდგებით პა... მენტარიზმის პრაქტიკული ... ვნელობის გამოკვლევას.

კ. ილ...

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.